კვირა, 1918 წ. ივნისის 16 № 111
წლიწადი მეორე

კვირა, 1918 წ. ივნისის 16 № 111
ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე, წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.
**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფირხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი № 76.**

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მართა სიმონის ასული, ძმა ზაქარია გიორგის ძე; შვილები: ვარლამ, ვალერიან, ტარასი, რძალი: ოლღა ლუკას ასული; შვილიშვილები: გიორგი, ნინა, ქეთევანი და ლევანი შავგულიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ

ეფრემ გიორგის ძის შავგულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს. (რუბანის ქუჩა საკუთარი სახლი) გამოსვენება მოხდება კვირას, ივნისის 16, (ახალი სტილით) ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა მოხდება საგვარეულო სასაფლაოზე ზედა ქვიტირის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე. 2—1

ექიმი ი. მ. პაპისოვი
(ბათომიდან)
განსაკუთრებით ღებულობს სიფილისით, ვენერიულ და კანის ავადმყოფობით. (შეშხაპუნება „606" და „914" ერლიხის პრეპარატების).
მიიღებს: 10—12 ს. და 6—8 ს. კვირაობით 10—12 საათ.
თბილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი, კომერციულ სასწავ. პირდაპირ. (თვ.) 14

ექიმ ივ. ბოკერიას ხირურგიული და გინეკოლოგიური საავადმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავადმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

მსურს დავიქირავო
ორი, სამი ან ოთხი დიდი სინათლიანი ოთახები სამთო უბანში. სასურველია მეორე სართული.
მისამართი: „ჩვენი ქვეყნის" რედაქცია ალ. თორაძე.

## კონფერენცია სტამბოლში.

ამ დღეებში სტამბოლში კონფერენცია მოეწყობა და იქ უმთავრესათ დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი გადაწყდება. ზოგი ამ კონფერენციას ეჭვის თვალით უყურებს და ფიქრობს, რომ ოსმალეთი და გერმანია თავის საქმეებს გააკეთებენ და ჩვენ უსათუოდ დაჩაგრულს გამოგვიყვანებენო. ზოგი წინ და წინ გაიძახის, რომ ამ კონფერენციაზე გერმანელები საქართველოს დაიცავენ და ამიტომ საქართველოს გაამედნიერებენო. არც ერთი შეხედულობა სწორი არ არის. და ასეთ შემცდარ შეხედულებას აჩენს ის გარემოება, რომ ქართველები პოლიტიკაზე კარგა ხანია არ ფიქრობდენ და ახლა თუ ფიქრობენ, ისიც შემთხვევით და საქმის შინაარსის უცოდინარათ.

ნამდვილი სურათი პოლიტიკური მდგომარეობისა ისეთია, რომ თუ ჩვენი დიპლომატია არ ისუსტებს, საქართველო ისარგებლებს, მხოლოდ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვინმე გვიცავდეს **ჩვენივე სარგებლობისთვის**, არამედ მიტომ, რომ **ჩვენი სარგებლობა იმავე დროს სხვის სარგებლობაცაა.** ამ შემთხვევაში არც მოპირდაპირის კაცთმოყვარეობა, არც მისი კულტურულობა სახეში მისაღები არ არის. დღევანდელი ცივი და მშრალი პოლიტიკა ასეთ გრძნობებს და მოვლენებს ცხოვრების სინამდვილეში ადგილს არ აძლევს.

ოსმალეთის და გერმანიის ამხანაგობა შემთხვევითია და სრულიად საკმარისია ერთი ძვალი,—რომ ისინი ერთმანეთს წაეკიდონ. ამხანაგობის დარღვევას ის უფრო მოერიდება, რომელიც უფრო სუსტია და რომელსაც განხეთქილებით მეტი ზარალი მიეცემა. ასეთ მდგომარეობაში ოსმალეთია და სწორეთ დათმობის გზასაც ის უნდა დაადგეს. ამას მოითხოვს აუცილებლობა—მორჩა და გათავდა.

საქართველოს ინტერესების დაცვა აშკარათ მოითხოვს ჩვენი ისტორიული საზღვრების აღდგენას და შავი ზღვის ნაპირზე თავისუფლების შერჩენას. **ტერიტორიის სიფართე და ზღვაზე თავისუფალი გასავალი**—ორი აუცილებელი პირობაა ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობისა. ამ ინტერესებს წავაყენებთ მაგრამ ვერ დავიცავთ, რადგან ძალას მოკლებული ვართ. ჩვენი სისუსტე იციან და ჩვენ სუსტეს ხელზე დაიხვევს ის, ვისთვისაც ჩვენი სისუსტე სასარგებლოა. ასეთი მხარეა ოსმალეთი. მეორე მხრით ჩვენ ინტერესებს დაიცავს არა მარტო ქართველი, რომელიც მოვალეა და ჰკირისუფალი, არამედ ისიც, ვისაც ჩვენი გაძლიერება გამოადგება. ასეთი მხარეა გერმანია. მაშ რათ გვიცავს გერმანია? იმიტომ, რომ ამით თავის საკუთარ საქმეს იკეთებს და სხვა ძლიერი მტრების საზარალო მასალათ გამოვადგებით; მოკლეთ, რომ ვსთქვათ ჩვენი გაძლიერებით თვითონ **გერმანია არაფერს კარგავს** და სახიფათო **მტრებს კი აზარალებს.** ამ გვარათ პოლიტიკური პირობები მოეწყო ისე, რომ გერმანია ჩვენ გვიცავს არა **ჩვენი კეთილობისთვის, არამედ თავისივე თავის ერთგულებისათვის**. თუ ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და ჩვენმა დიპლომატიამ არ იკოჭლა, მოსალოდნელია ჩვენთვის სასარგებლო განჩინება მომავალი კონფერენციისა. ავსტრიისა და ბულგარეთის როლი კონფერენციაზე მხოლოდ ის იქნება ძლიერს მხარი დაუჭირონ და თავისი თავი ხიფათში არ ჩააგდონ; ესე იგი ორივე გერმანიას დაეთანხმება.

ორი საყურადღებო საკითხი უნდა გადაწყვიტოს კონფერენციამ: როგორ შეხედავენ 3 ივნისის ზავის პირობებს, რომელმაც საქართველო გასჭრა და გულისგულს დააშორა—ახალციხე და ახალქალაქი ოსმალეთისკენ დასტოვა? მეორე—საით დასტოვებენ ბათომს? ამ ორი საკითხის შესახებ მოსალოდნელია შემდეგი გადაწყვეტილება:

3 ივნისის ზავს არ დაამტკიცებენ და ამას უსაფუძვლო მოლაპარაკებათ ჩათვლიან. ამის შესახებ იმდენი ითქმის, რომ ნახევარიც რომ გაიგონონ მგონი იმათაც უარი სთქვან, ვინც ხელი მოაწერა. **თავმოყვარე სამართლიანი** მტერი არც მიიღებდა ასეთ დათმობას, მაგრამ საუბედუროთ ოსმალეთს იგივე აკლია.

ბათომის შესახებ ორი რამაა მოსალოდნელი. ან საქართველოს დაუბრუნებენ ან თავისუფალ საერთო ადგილათ გამოაცხადებენ, ყოველ შემთხვევაში ბათომი რომ ოსმალეთის საკუთრებაში იქნეს — გერმანიის ინტერესი შავ ზღვაზე ძლიერ ილახება და სტრატეგიულათაც სახიფათო იქნება, აი ამ საკითხში ავსტრია და ბულგარია მხარს დაუჭერენ ბათომის საერთოთ დატოვებას, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი ამ საკითხშიც დამარცხდეს.

თუ გამართლდა ჩვენი იმედი ხომ კარგი და თუ არა—საქმე ისევ სადავოთ უნდა დარჩეს. საქართველო ისეთ პირობებში, როგორშიდაც 3 ივნისის ზავი მას აყენებს, ვერ იარსებებს. ასეთი სახელმწიფო-სახელმწიფო არ იქნება და მაშინ სხვა გზა უნდა მოვძებნოთ.....

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

# პრესა.

სტამბოლის კონფერენციის შესახებ. „ერთობა" სწერს.

რას უნდა მოველოდეთ ამ სამშვიდობო კონფერენციისაგან? რას მოუტანს ის საერთოთ ამიერ-კავკასიას და კერძოთ, ჩვენს რესპუბლიკას?

ძნელია წინასწარმეტყველება, მაგრამ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: ეს კონფერენცია მომასწავებელია იმის, რომ ამიერ-კავკასია საბოლოვოთ ჩამოშორდა რუსეთს. თუ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს დღემდის ბევრი ისე უყურებდა, როგორც უბრალო დეკლარაციას, ან როგორც მშრალ რეზოლიუციას, დღეის შემდეგ ურწმუნო თომანიც კი უნდა დარწმუნდენ, რომ ახლო მომავალში შეუძლებელია რუსეთთან ნებით ან ძალით შეერთება. ჩვენი ქვეყნის ბედს გამარჯვებული კოალიცია დაეპატრონა და გვინდა თუ არ გვინდა, ამ კოალიციას უნდა შეუთანხმოთ ჩვენი მოქმედება.

არის აგრეთვე მეორე გარემოება, რომელიც ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებათ შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის იმპერიალისტებს დიდი მადა აღეძრათ კავკასიიდან რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ და მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა. ამით აიხსნება ის, რომ ოსმალეთის მეცადინეობით, როგორც ტრაპიზონის, ისე ბათომის საზავო მოლაპარაკების დროს გერმანია ავსტრია და ბულგარეთი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ზავის პირობების გამომუშავებაში. ამით აიხსნება აგრეთვე ის, რომ ოსმალეთმა მოახერხა და ასეთი სამძიმო ზავი მოგვახვია თავზე ერთის მხრით ჩვენ, ხოლო მეორე მხრით სომხეთის რესპუბლიკას.

ამავ საკითხის შესახებ კონფერენციის მოწვევა ნიშნავს ოსმალეთის აღაგმვისაკენ პირველ ნაბიჯის გადადგმას, ცხადია გერმანია ბულგარეთი ვერ შეურიგდებიან ამიერ-კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებას, რომელი გაბატონებაც შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში გაბატონებით. ამიტომ აღნიშნულ სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვს ხელი შეუწყონ ძლიერ საქართველოს შექმნას.

რასაკვირველია, ჩვენ სიხარულით ვერ შევხვდებით ამ გარემოებას, რადგან გერმანია-ბულგარეთის მიერ ოსმალეთის ალაგმვა ნიშნავს აგრეთვე ამ სახელმწიფოების გავლენის გაძლიერებას ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სინათლე მოდის დასავლეთიდან და არა აღმოსავლეთიდან და ოსმალეთის კლანჭებისაგან თავის გადარჩენაც თავის თავათ დიდს ღირებულებას წარმოადგენს ქართველი დემოკრატიისათვის.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურს დამოუკიდებლობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანია-ავსტრიის ინტერესები არ მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევას, მით უმეტეს, რომ ჩვენს დემოკრატიას საქმიანობის დაუშრეტელი ენერგია აქვს და თითონ საკუთარის ძალებით შესძლებს წესრიგის დამყარებას და ანარქიის ჩაქრობას.

ამიტომ ჩვენ დიდი იმედით შევყურებთ სტამბოლის სამშვიდობო კონფერენციას და მოვაგონებთ ჩვენს დემოკრატიას მტკიცეთ შეუდგეს სახელმწიფოს საამშენებლო მუშაობას.

—

„საქართველო".

ოსმალეთს სტამბოლის კონფერენციაზე ლეგალური შემთხვევა ექნება საქართველოსთან დამოკიდებულობა შეამსუბუქოს, გამოასწოროს და მასთან ნამდვილი მეგობრული დამოკიდებულობა აღადგინოს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებიან ოსმალეთის ყველა მოკავშირეები და ეს კიდევ

უფრო გვაიმედებს, რომ საქართველოს გაანთავისუფლებენ ტრაპიზონისა და ბათომის კონფერენციების მძიმე შედეგებიდან და მით სახელმწიფოებრივი განვითარების საშვალებას მიანიჭებენ.

—

„სახალხო“

სტამბოლის კონფერენციის მოწვევას თავის თავად ძალიან დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულება აქვს. ეს კონფერენცია საქართველომ მოიწვია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და აშკარაა, საგანგებო კონფერენციას შეუძლებელია სხვა მიზანი ქონდეს, გარდა წინანდელ საზავო მოლაპარაკების შეცვლისა, მდგომარეობის გაუმჯობესობისა. საქართველო არ არის კმაყოფილი ბათომ ტრაპიზონის ზავით და ამის წინაალმდეგ ახალი მოლაპარაკება იმართება სტამბოლში. თვით ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის.

რასაკვირველია ზედმიწევნითი სისწორით არაფრის თქმა არ შეიძლება სტამბოლის კონფერენცია ყველაზე დიდი კონფერენციაა, რომელიც დღემდე იყო ამიერ-კავკასიის საქმეების გამო ტრაპიზონ-ბათომში, მრავალ ერის და რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესები ართულებენ მდგომარეობას და ვინ იცის ამ ჭიდილისა და ინტერესთა კვანძებში საქართველოს საქმე როგორ მოეწყობა. იმედი უნდა ვიქონიოთ: სტამბოლში საქართველო არაფერს დაჰკარგავს, პირიქით იქ უნდა მოვიპოვოთ ახალი უფლება.

## საქართველოს დელეგაცია ბერლინში

**ბერლინი.** ივნისის 11. ბერლინში ჩამოვიდა საქართველოს ახალ რესპუბლიკის წარმომადგენელი მინისტრი ჩხენკელი, რათა გერმანეთის მთავრობას წარუდგენ მოხსენებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. ჩხენკელმა გერმანიის მთავრობას მიჰმართა წინადადებით, რომ მოწვეული იქმნეს კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლებისა ერთის მხრით და მეორეთი ცენტრალ სახელმწიფოთა და მის მოკავშირეთა წარმომადგენლებისა, რათა ყოველი საკითხი განხილულ იქმნეს, რაც კი საქართველოს რესპუბლიკის მომავალს შეეხება. გერმანიის მთავრობამ მოიწონა აზრი კონფერენციის მოწვევის შესახებ და წინადადება მისცა იგი მოწვეულ იქმნეს სტამბოლში.

## სტამბოლის კონფერენცია.

ტფილისი ივნისის 13. საქართველოს მთავრობამ სტამბოლის კონფერენციაზე გასაგზავნად აირჩია: თავმჯდომარედ ე. გეგეჭკორი და წევრებად ნ. ნიკოლაძე, ირ. წერეთელი, გრ. რცხილაძე, გენერალი ოდიშელიძე და გ. გვაზავა.

სომხის ეროვნულმა საბჭომ სტამბოლის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნა: აგარონიანი, ა. ხატისიანი და პაპაჯანიანი.

ივნისის 13 ბათომში გაემგზავრენ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები და ივნისის 14-ს. იქიდან სტამბოლში გაემგზავრნენ. მაჰმადიანთა და ჩრდილოეთ კავკასიის მთეულთა დელეგაციები ამ დღეებში გაემგზავრებიან კონფერენციაზე დასასწრებლად.

## საქართველოს მთავრობის მოქმედება.

— 12 ივნისს უკრაინის ქართველთა კომისარის ვაჩეიშვილის მოხსენება იქაურ მდგომარეობის შესახებ, დაადგინეს შემდეგ სხდომაზე იქნეს მოსმენილი.

— სამხრეთ მიწათმოქმედების და სწავლა-განათლების მინისტრებს დაევალა კოჯორი დაათვალიერონ სახაზინო მამულების, ქონების და დაწესებულებათა დაცვისთვის ზომების შესამუშავებლად.

— სტამბოლის კონფერენციაზე დასასწრებლად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებად არჩეული იქნენ: თავმჯდომარედ ე. პ. გეგეჭკორი, წევრებად: ირ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. რცხილაძე, გენ. ი. ოდიშელიძე და გ. ზ. გვაზავა.

— საჭიროდ იქნა აღიარებული ჯარში დატოვებულ იქნენ 18 23 წლის ახალგაზრდები.

23 წლისაზე უფროსები სამხედრო მინისტრის განკარგულებით იქნებიან განთავისუფლებულნი.

— დაადგინეს მზრუნველობის სამინისტრო გაუქმდეს, რის შესახებაც შინაგან საქმეთა მინისტრმა შესაფერი ბრძანება უნდა გამოსცეს.

სამინისტროს მოსამსახურენი საერთო საფუძველზე შტატს გარეშე დარჩენილათ იქნებიან გამოცხადებულნი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 124,000 მანეთის გადადების საკითხი ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ კომისიას გადაეცა განსახილველათ.

— საქართველოს სამხედრო გზის დასაცავათ საჭიროდ იქნა აღიარებული დაარსდეს მუდმივი საყარაულო რაზმი.

— 13 ივნისს დამტკიცებულ იქნა „საქონლის გაცვლის დროებითი წესები.

— რადიო სადგურის ასაგებათ სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 110,000 მანეთი გადაიდო.

— აფხაზთა სახალხო საბჭოსთვის 10,000 მან. გადაიდო სამხედრო ნაწილის შესადგენად.

## ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში.

ბორჩალოს მაზრის თათართა ბრბოებისაგან გასანთავისუფლებლათ 11 ივნისს გაგზავნა ჯარი არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით. 12 ივნისს სანდართან ბრძოლა დაიწყო და მაშინვე დაზვერვის დროს მოკლულ იქმნა წითელ გვარდიელი ვ. შარაშიძე და 2 დაჭრეს. ღამე ჩამოვიდა გერმანელთა ჯარი. 13 ივნისს ჩამოვიდა 2 ეშელონი. 13 ივნისს, დილით საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევა ჩვენის მხრით დაიწყო. ჩვენ მოგვიკლეს 4 და დაგვიჭრეს 20, მათგან 9 გერმანელი და 1 გერმანელიც მოჰკლეს. მტრის ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია. 13 ივნისს საღამოთი შეკეთებულ იქნა ყველა დაზიანებული და დამწვარი ხიდები და ბრძოლით ავიღეთ სად. აშაღასარალი.

## ბრძოლა სადახლოსთან.

ივნისის 12-ს საღამოთი ჩვენი ჯარისა და მაჰმადიანთა ბრბოების შუა შეტაკება მოხდა, რამაც ნამდვილი ომის სახე მიიღო. თათრის ბრბოები არ უშვებდნენ ჩვენს ჯარებს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დასაჭერად. სროლამ მთელ ღამეს გასტანა. დილით, განთიადისას, 13 ივნისს, ჩვენს ჯარებს გერმანელები მოეხმარნენ. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. მაჰმადიანთა ბრბოები დამარცხდნენ და თავ-გზა არევით მიატოვეს არა თუ სადახლო, შემდეგი სადგურებიც კი. აღსანიშნავია, რომ ქართველი ჯარის კაცები ამ ბრძოლაში ადფრთოვანებით იბრძვიან. მათ მამაცობას განცვიფრებაში მოჰყავთ გერმანელები, რომელნიც ურჩევდენ მათ, აგრე აშკარად ბრძოლაში გასვლას ერიდეთ, ადგილმდებარეობითაც ისარგებლეთ, თხრილები გაავლეთ, სულ მოკლე ხანში „ცეპელინები“ მოგვივა და მაგ ბრბოს ორ დღეში გავფანტავთო. ამ ბრძოლაში დაჭრილ-დახოცილები არიან...

აჯიქაბულიდანაც დაიძრენ ბოლშევიკები. მოსალოდნელია ახალი ბრძოლის გაჩაღება...

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.** მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობა აცნობებს თავის წევრებს, რომ ორშაბათს, ახალი სტილით 17 ივნისს, დილის 8 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში, ამავე სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის დეკ. მელიტონ კელენჯერიძის ინიციატივით გაიხსნება კურსები ქართული ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს გეოგრაფია ისტორიის შესასწავლად, რომელიც გაგრძელდება თვენახევარს. გამგეობა ურჩევს სახალხო მასწავლებლებლებს აუცილებლად ჩაეწერონ და მოისმინონ ეს კურსები.

✦ **სათესლე პურის ხორბლის შეძენა.** ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომთა ორგანიზაციამ დაადგინა: ამ თავითვე მიიღოს ზომები რომ გუბერნიისათვის შეიძინონ საჭირო სათესლე პურის ხორბალი. ამ მიზნისათვის თბილისის გუბერნიაში უკვე გაემგზავრა გუბერნიის აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი. განზრახულია ქუთაისის გუბერნიაში პურის მოსავლიან რაიონებში შესდგეს ორგანიზაციები, რომელთაც დაეკისრებათ შეკრიბონ ცნობები რომელ ადგილში რამდენი თესლი იქნება საჭირო. ეს ორგანიზაციები კავშირს იქონიებენ საერობო აგრონომთა ორგანიზაციასთან.

✦ **შაბიამანი.** როგორც გავიგეთ ქუთაისის გუბერნიის მევ ნახეობისა და მევენახეობის კომიტეტს ამ დღეებში მოუვა დიდძალი შაბიამანი, რაც განაწილებულ იქმნება მევენახეთა შორის. შაბიამანი გაცილებით იაფად დაჯდება ვინემ დღეს.

✦ **თეთრი პურის ფქვილი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი ამ დღეებში ქ. ფოთიდან მიიღებს რამდენიმე ვაგონ თეთრი ფურის ფქვილს.

✦ **დეპუტატები სასწავლებლებში.** სამოსწავლო ოლქმა ქუთაისში ქნ ხუჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში გამოცდებზე დასასწრებლად დანიშნა ბ. ტრ. მიხ. ჯაფარიძე. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიაში კი დაინიშნა გ. წერეთელი.

✦ **სამსახურიდან განთავისუფლება.** 1 ივნისს გუბერნიის კომისარმა საგლეხო საკრებულოს წევრებს წერილობითი წინადადება მისცა, რომ დაუყონებლივ შეიტანონ თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

✦ **რუსთა შორის.** რუსის ეროვნული საბჭოს ქუთაისის განყოფილებამ ქალაქის თვითმართველობის წინეშე შუამდგომლობა აღძრა, რომ იმ რუსთ, რომელთაც სამშობლოში გამგზავრება სურთ მიეცესთ უფასოთ რკინის გზის ბილეთი. ამის გამო ლტოლვილთა დამხმარე ქალაქის კომიტეტმა გადასწყვიტა, მიეცეს წინადადება რუსებს, რომ მათ შუამდგომლობა აღძრან შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

✦ **ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი.** ქუთაისის ქალაქის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა დაადგინა: 20 ივნისიდან გურიიდან გადმოხვეწილები ლტოლვილებად აღარ ჩარიცხონ და კომიტეტის საშვალებიდან მათ არავითარი დახმარება არ მისცენ.

ჯერ-ჯერობით კომიტეტს დახმარება აღმოუჩენია 210 ოჯახისათვის. თითო ოჯახისათვის მიუციათ 50 — 150 მანეთამდე. მათვე ეძლეოდათ უფასოთ ბინა და წამალი. ავათმყოფებს ქალაქის საავათმყოფოში უფასოთ აწვენდენ.

კომიტეტს დახმარება აღმოუჩენია ბათომის ქალაქის თვითმართველობის უსაქმოთ დარჩენილ მოსამსახურეებისათვის და დახმარებას აძლევენ სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეებსაც.

✦ **სეირნობა.** დღეს, 16 ივნისს ქალაქის ბაღში წერ. კით. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილება გამართავს სეირნობას.

✦ **ჯარში გაწვევა.** მთავრობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო დაუყონებლივ გაიწვიოს ჯარში სამხედრო ბეგარის მოსახდელად 19—23 წლის ახალგაზრდები; ის პირები, რომელნიც 23 წლისაზე მეტის არიან და ამ ჟამად ჯარში იმყოფებიან, განთავისუფლებულნი იქნებიან მხოლოდ სამხედრო მინისტრის განკარგულებით.

✦ **ქ. განჯა,** [illegible] ივნისს ელისავეტპოლიდან განჯაში ჩამოსულმა ოსმალეთის ჯარმა, რიცხვით 2000 კაცმა 10 ივნისს ალყა შემოარტყა განჯა ჩაის ზემოთ მდებარე სომხების სოფლებს „ქილსა ქენის“ და იარაღის აყრა მოსთხოვა. სომხები იარაღის ჩაბარებაზე უარს ამბობენ. არ ვიცით, რით გათავდება საქმე. 11 ივნისს საღამოს სად. ქიურდამირი დაიკავეს ბოლშევიკებმა, განჯიდან განკარგულება გაუგზავნეს მაღალოვს დაიხიოს სად. უჯარაში.

✦ **ბოლშევიკებთან ბრძოლა.** ზუგდიდის რაიონში მომქმედ მფრინავ რაზმის უფროსმა კარტონ ღლონტმა წინადადება მისცა ამ რაიონის სამ საზოგადოებას რომ იარაღი აეყარათ. უარის განცხადების შემდეგ რაზმმა ძალას მიმართა.

✦ **გრ. ნიკოლეიშვილის სიკვდილი.** გუშინ დილის 9 საათზე რელიგიონის საავათმყოფოში გარდაიცვალა. გრ. ი. ნიკოლეიშვილი, რომელიც გუშინ წინ სოფ. აბაშაში დაიჭრა.

✦ **მოსამსახურეთა შტატი.** როგორც ამბობენ ამ დღეებში შეამოკლებენ ქუთაისის ხაზინის მოსამსახურეთა შტატს დათხოვნილ იქმნება 40 მოსამსახურე.

✦ **მკვლელობა.** სოფ. ბაშში ჩხუბის დროს მოჰკლეს არ. მეძმარიაშვილი.

✦ **სიმინდი.** 14 ივნის ოჩემჩირიდან ქუთაისისათვის გამოიგზავნა 2000 ფუთი სიმინდი.

### ტფილისი.

— **სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსების წარმომადგენლები** ამ დღეებში წარუდგნენ გერმანიის სამხედრო საელჩოს უფროსს გრაფ შულენბურგს და სთხოვეს იშუამდგომლოს საქართველოს მთავრობის წინაშე ოსეთი საქართველოს შემოუერთოს ფედერატიულ საფუძველზე. გრაფ შულენბურგმა უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა საქართველოს მთავრობასთან.

— **ქართულ უნივერსიტეტთან** არსებულ სატერმინოლოგიო სექციის პრაქტიკული მუშაობა დაიწყო 15 ივნისიდან ქართულ უნივერსიტეტის შენობაში. მუშაობას ხელმძღვანელობას პროპ. ჯავახიშვილი.

— **ინგლისელები ბაქოში.** ივნისის 13 (დეპ. სააგენტოდან) „ჰორიზონის“ რედაქციას ცნობები მოუვიდა, რომ ბაქოში ინგლისის ჯარი ჩავიდა. მისი შტაბი „იმპერიალის“ სასტუმროში იყოფება იმავე ცნობებით ენზელში 1000 ინგლისელი ჯარის კაცი ჩავიდა ბაქოსკენ გასამგზავრებლად. კაზვინში ინგლისის დიდძალი ჯარია დაგროვილი.

## სული და სოციალიზმი.

წუთისოფელი ღელავს და მფოთავს ვით გეიზერის აუზი: ხან უცბათ შესწყდება ხოლმე მოძრაობა, ხან მომეტებულის ძალით განწეორდება იგი; წყალი აუზიდგან ხან ამოიწევს მაღლა, გამოიბერება, მაღალ ტალღებად გადაიქცევა და ტრიალებს, ორთქლის ბურთებს ისვრის ჰაერში; ტალღები იფანტებიან ზოგნი ირიბათ, ზოგნი სულ სწორეთ და გააქვთ შხივილი ყრუ ღმუილი; ორთქლის დიდრონი ღრუბლები დარბიან, ტრიალობენ ერთი მეორეზედ და ერთრიგად წყალსაც ჰფარავენ; ამ დროს აუზი კიდევ შეისვრის მაღლა ტალღებს, შემოისმის ძირიდგან მძიმე გრიალი, უხილავი ძალთა გუგუნი და რამდენიმე წამის შემდეგ ყველაფერი ეცბად გაჰქრება როგორც ფანტასტიური მოჩვენება. ვიდრე ქარი სივრცეში განაბნევს ამ შეკრებილ ორთქლს და ცხელი წყალი აუზის ნაპირებიდგან ჩამოიწურება, წყლით სავსე აუზი ნელ-ნელა შრება და ზემოდგან დუღილისგან ნაცრის ფრად ქაფს მოიგდებს.

კაცობრიობის მღელვარება, ერთაშორის ბრძოლა და შეტაკება, დაუსრულებელი ძიება, რევოლუციები, აჯანყებები, ხალხთა გუგუნი, საუკუნეთა ძახილი, შემოქმედებითი ალტყინება, აღგზნებული გრძნობათა დუღილი, იდეების და ინტუიციების ორთქლები და ღრუბლები, იდეალების და ილლიუზიების რომანტიული ცეკვა და თამაში—განა ყველაფერი ეს არ წააგავს გეიზერის აუზის მოძრაობას და მღელვარებას? განა მსოფლიო ისტორია არ იწვის, არ დუღს. არ იქაფება? განა საუკუნეთ დუმილი და მოულოდნელი ახმაურება ისტორიაში არ არის დამაფიქრებელი?.. განა სამყარო არ წარმოადგენს ორგანიულ ერთეულს, უსაზღვროს და მრავალფეროვანს ესთეტიურ რელიგიურ ფენომენად ჩვენ თვალწინ გაშლილს და მარადიულ საიდუმლოებით მოცულს? გადახედეთ ისტორიას, ცეცხლით და სისხლით დაწერილს:—ძველი ისრაელები ეძებდენ ღმერთს, ღმერთი დიდხანს იმალებოდა: საშინელი იყო უღმერთო ყოველდღიური ცხოვრება და ტანჯვა ადამიანის იყო აუტანელი; საჭირო იყო ღმერთი კაცთმოყვარე და ყველაფერის შემძლებელი: აღმოსავლეთის მზის ქვეშ სისხლი დუღდა, გული იწვოდა და გონება უცდიდა. ბოლოს ბურუსით და ღრუბლებით გარემოცული გამოჩნდა ღმერთი და მრისხანეთ გამოუცხადა ადამიანს, რომ ხსნა მხოლოდ ტანჯვაშია.

დროთა განმავლობაში იშვა ტანჯვის შვილი: მან გადახედა არე-მარეს, იგრძნო წუთი-სოფლის ცვალებადობა და სიჩმახე, დიდხანს იფიქრა, ბევრი ეძია, შეიყვარა ღამე ვით დღის სინათლე, ქვეყნის ტკივილებით გული დაისერა, და ბოლოს სავსე სასოწარკვეთილებით სთქვა: რაც მიწიერია—წარმავალია, უკვდავია მხოლოდ მარადისობა, შეიყვარეთ ცხოვრება მარადიული და უარყავით მიწიერი ყველაფერიო.

კაცობრიობამ უარჰყო მიწიერი ყველაფერი და შეიყვარა მარადისობა: ათი საუკუნე უცდიდა იგი მარადიული ბედნიერების განხორციელებას, იტანჯებოდა „დროებით“, ხორცით, რომ ეპოვა სამარადისო სულის საზრდო. თითქმის მთელი ქრისტიანობა დარწმუნებული იყო, რომ საშუალო საუკუნოებში, განსაკუთრებით მეათე საუკუნის დამლევს უნდა დამთავრებულიყო კაცობრიობის მიწიერი ცხოვრება და უნდა გახსნილიყო სამოთხის კარები: ერთმა დომინიკანელმა, ბერმა სახელად დომიციანემ, რომელსაც ძალიან უნდოდა სამოთხეში პირველი ადგილი დაეჭირა, სწორედ იმ ღამეს, როდესაც თავდებოდა მეათე საუკუნე და თენდებოდა შემდეგ საუკუნის პირველი დღე, სამიათასჯერ გააროზგია თავის თავი ამხანაგებს, რადგან, რომის პაპის სიტყვებით და ბულებით, სამოთხეში პირველი ადგილი იქნებოდა იმისი, ვინც მეტი გაროზგილი იქნებოდა თავის ნებით ანუ ვინც მეტ ფულს გადიხდიდა. გათენდა-დილა, რომელსაც დიდხანს უცდიდა ევროპა და რომლის პირველ სხივებს უნდა გაენათებიათ სამოთხის კარები, მაგრამ იმედი ოცნებად გადიქცა, სამოთხე ძველებურად სანატრელი შეიქნა, როზგებმა და ფულის გადახდამ უნაყოფოდ ჩაიარა; კაცობრიობა დარჩა მოტყუებული ისევ ძიების და ლოდინის გზაზე: ათი საუკუნე კიდევ ეძია, კიდევ ილოცა და იცა და მან, ახალ იმედებსა და ილლიუზიებს ჰქმნიდა, ახალ იდეალებს ეტრფოდა და ისევ გაიღვიძა მასში სამოთხის სიყვარულმა.

გამოჩნდენ ახალი მოციქულები—მარქსი და ენგელსი და დაპირდენ სანატრელ კარების გაღებას კაცობრიობას: შეთხზეს გზის მაჩვენებელი პროგრამები და სახელი გამოუცვალეს "სამოთხეს", რომ ხელ-ახლა დაეჯერებიათ არა ერთხელ მოტყუებული კაცობრიობა: „მეცნიერულის“-გზით დაიწყეს სიარული და შექმნეს "მეცნიერული სოციალიზმი"—„უკანასკნელი სიტყვა“ მეცნიერების“ და „პროგრესის“, ისტორიის და საუკუნეთა განცდის და შემოქმედების.

1847 წელს გამოვიდა საკმაოდ ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი“ მარქსის და ენგელსის მიერ გამოცემული; ვამბობთ გამოცემული, რადგან გერმანული ტექსტი კომუნისტური მანიფესტის“ არ არის ორიგინალური ნაწარმოები: ამ წიგნის შინაარსი მარქსმა და ენგელსმა ამოიღეს ფრანგ ფილოსოფოსის ვიქტორ კონსიდერანის ნაწარმოებიდგან, გადააკეთეს და დაარქვეს სახელად „კომუნისტური მანიფესტი“.

მარქს-ენგელსის „მანიფესტმა“, კაცობრიობის ისტორია გამოაცხადა კლასთა **ბრძოლის** შედეგათ და დაპირდა კაცობრიობას ამ ბრძოლის და ტანჯვის დამთავრება კერძო საკუთრების მოსპობით და საყოველთაო ბედნიერების განხორციელებით. „მანიფესტის“ სიტყვებით საყოველთაო ბედნიერების—სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობას კლასთა პროტესტები და საწარმოო ძალთა განვითარება ჰქმნის: ცხოვრების აუარებელი სიმდიდრე თავს მოიყრის ერთად, ღატაკთა კლასი გამრავლდება და ბოლოს გაანაწილებს ამ სიმდიდრეს თანასწორად, ისე, რომ არავინ დარჩება დაჩაგრული და მშიერი, დადგება დრო სრული კმაყოფილების, ადამიანი გახდება თავისუფალი: ინდივიდუალობა თავს იხსნის ტანჯვისაგან სოციალობაში, შენაწევრებაში; საზოგადოება გახდება ღმერთი ადამიანის და ადამიანს აღარ დაჭირდება არც ღმერთი, არც რელიგია: ადამიანის გონება დაიმორჩილებს ცხოვრების სტიქიურობას საგანთა და ადამიანთა შორის დამოკიდებულება იქნება განჭვრეტილი და გამოანგარიშებული. მთელი საიდუმლოება სიცოცხლისა, ყველაფერი, რასაც თეორია მიყავს მისტიციზმამდე,—ამბობს მარქსი,—დაინახავს თავის ნამდვილ სახეს ადამიანის პრაქტიკაში და პრაქტიულ ცხოვრების შემეცნებაში.

ამნაირად, მარქსის აზრით, ყოველდღიური ცხოვრების რაციონალურად მოწყობა მიიყვანს ადამიანს სრული განთავისუფლებამდე: ადამიანი განთავისუფლდება როგორც გარეგნულად, ობიექტიურად, ისე სულიერად, სუბიექტურად; მხოლოდ საჭიროა ადამიანი იმყოფებოდეს საზოგადოებაში და მისი იდეალი იყოს საზოგადოების იდეალი, საჭიროა ჰარმონიული შეერთება **საზოგადო ერთეულთან**.

აქ ნათლად ისახება მარქსიზმის ძირითადი პრინციპი: **სოციალიზმის აბსოლიუტობა** სოციალიზმის აბსოლიუტობით მარქსიზმი უარჰყოფს სიცოცხლის სხვადასხვა პრობლემას: ცხოვრების უკულმართობა, წუთისოფლის სიმწარე, მარადისობის საიდუმლოება, სულის უკმაყოფილობა და ძიება—ყველაფერი, რაც აწუხებს ადამიანს, ყველაფერი, რაც უცნობია ჩვენთვის, სოციალიზმში გამოირკვევა და საზოგადოყოფის ძალა გადასწყვეტს კოსმოლოგიური პრობლემებსო.

ასე დაანუგეშა კაცობრიობა მარქსმა: სოციალიზმი გახადა კაცობრიობის რელიგიად და ადამიანის განთავისუფლება შეუკავშირა საწარმოო ძალთა განვითარებას. ერთის მხრით მან უარჰყო სულის აბსოლიუტები: უარჰყო ღმერთი, რელიგია, საიდეიო. მეორე მხრით, სამაგიეროთ, გამოაცხადა სოციალიზმის აბსოლიუტობა: სოციალიზმი, **როგორც რელიგია და როგორც ღმერთი**.

მხოლოდ უარყოფა ისტორიულ აბსოლიუტების და სოციალიზმის განხორციელება, როგორც უკვე ვსთქვით, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა სიჩქარით გამწვავდებოდა კლასთა ბრძოლა: კლასთა ბრძოლის გამწვავებას მარქსისთვის ჰქონდა კიდევ **რელიგიური** ხასიათი, თუმცა ამას იგი არ ამბობდა. მარქსი კაცობრიობის ისტორიას უყურებდა, როგორც კლასთა ბრძოლას, მხოლოდ კლასთა ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო სოციალიზმით. მაგრამ რატომ მაინც და მაინც სოციალიზმით?—„კაპიტალის„ საეჭვო სტატისტიკურ ცნობების გარდა, მარქსს სოციალიზმის დამასაბუთებელი და დამამტკიცებელი **ლოგიური** დებულებები არ მოეპოვება: თუ საუკუნეთა განმავლობაში კლასთა ბრძოლას ჰქონდა **აქტიური** ხასიათი, თუ შორეულ აღმოსავლეთში, ანტიურ ქვეყნებში, საშუალო საუკუნოებში—თუ ყველგან იყვნენ ღარიბი და მდიდარი, პროლეტარი და ბურჟუა, რისთვის მაინც-და მაინც „კაპიტალისტური წარმოებით“ გათავდეს კლასთა ბრძოლის ეპოქა? რისთვის არ შეიძლება რომ კლასთა ბრძოლის ჰქონდეს მარადიული ხასიათი?.. მთელი კაცობრიობის ისტორია—ეს ხომ კლასთა ბრძოლაა.

და რატომ უნდა შეჩერდეს ეს ბრძოლა? რა მიზეზით გამოიცვლის ისტორია შინაარსს? რისთვის გადატრიალდება ყირამალა მთელი წარსულის ონტოლოგიური რეალობა? ამის პასუხად მარქსს მოყავს, როგორც ვსთქვით, ერთად-ერთი: კაპიტალის შეგროვება და ღარიბების, პროლეტარების გამრავლება. ჯერ ეს ერთი: მარქსის სტატისტიკა მეცნიერებაში **ყალბად ცნობილია** და ეს სიყალბე **უკვე დამტკიცებულია**.

მაგრამ თავი დავანებოთ სტატისტიკას, სტატისტიკა, რომ ხშირად საეჭვოა, ყველამ იცის: ჩვენ გვაინტერესებს **ლოგიური** მხარე. ვსთქვათ, რომ მარქსის სტატისტიკა და კაპიტალიზმის ანალიზი სწორია და უცოდველი: ვსთქვათ, რომ კაპიტალიზმი ანგელოზის ფრთებით მიგვაფრენს სოციალიზმისკენ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რატომ კაპიტალიზმის კოკეტკობას უნდა დაუჯეროთ და არა ისტორიას,—კაცობრიობის წარსულს:

მთელი წარსული—კლასთა ბრძოლაა, მაშასადამე კლასთა ბრძოლას ჰქონია მარადიული ხასიათი, მაშასადამე კლასთა ბრძოლა იქნება: კაპიტალიზმი მარქსისთვის ერთად-ერთი წინამორბედია სოციალიზმის; რათ უნდა დავუჯეროთ ერთ მაგალითს და არა მრავალ საუკუნეთა გამოცდილებას და განცდას?—რაც ყოფილა, ის იქნება: ამას ამბობს მთელი ისტორია. ქვეყნის გადატაკებაზე და „კაპიტალის კონცენტრაციაზე“ დამოკიდებული ბედნიერება ისე სასაცილოა, როგორც საშუალო საუკუნოებში დომინიკანელ ბერის საქციელი და ოცნება.

ცხოვრების ზღვა ღელავს: იბადებიან და ჰქრებიან საუკუნეთა ილლიუზიები. დაუსრულებელია სულის ძიება. ოცნების ფრთების ძალა დიდია, მაგრამ სინამდვილე ოცნებაზე უფრო მძლავრია.

თავის ცხოვრების უკანასკნელ წლეებში მარქსმა იგრძნო, რომ სოციალიზმი არც ისეთი ადვილი განსახორციელებელი ყოფილა როგორც მას ეგონა ახალგაზრდობის დროს და ამიტომ მარქსი თავის მოწაფეებს იეზუიტურად ხშირად ეტყოდა ხოლმე: მარქსი ვარ, მაგრამ მარქსისტი კი არაო.

თქმა არ უნდა, ამ სიტყვებში ცოტაოდენი **გულწრფელობა** მაინც არის: მარქსიზმი როგორც სოციოლოგიური **მოძღვრება ჭეშმარიტად** საყურადღებოა და მარქსი, როგორც სოციოლოგი დიდათ ორიგინალური მწერალია, მაგრამ მარქსიზმი როგორც ფილოსოფიური სისტემა, **მარქსიზმი** როგორც **სინთეზი** (შეერთება) **მეტაფიზიკური მატერიალიზმისა და თავისებურად გადაკეთებული ჰეგელის დიალექტიკურ ლოგიკის**, ისტორიამ უარჰყო ისე, როგორც ბევრი სხვა დოგმები და ილლიუზიები.

ისტორიული მოძრაობის ირაციონალობამ თავისი გაიტანა, გადატაკების პროცესი, რომელსაც, მარქსის სიტყვებით, ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლეებში, უცბად შეჩერდა, კაპიტალის შეგროვება (კონცენტრაცია) შესწყდა, მარქსის სახელგანთქმული კაპიტალიზაცია შეიცვალა და ისტორიულად გადასხვაფერდა; საწარმოო ძალთა **ინდივიდუაციამ** ევროპაში გაბატონა წვრილი საკუთრება; პირველყოფილ კომუნიზმის ჯოგური ინსტინქტი,—მარქსიზმის raison d'e tre და რელიგია ისტორიის ლოგიკამ დაუმორჩილა **კერძო საკუთრების იდეას**, სალი და შემოქმედი ინდივიდუალიზმის მცნებას: შეუძლებელი იყო სოციალიზმის იდეალის გულში და სულში ტარება იმ დროს, როდესაც ისტორიას მსოფლიო კულტურის შემოქმედებაში **ინდივიდუალიზაციის** პროცესი გაჰყავს ცეცხლით და მახვილით; მართლაც, განა შესაძლებელია ოცნება სოციალიზმის კაზარმებზე იმდროს, როდესაც კაცობრიობის და იდეალის საუკეთესო მოძღვრები და წარმომადგენლები ხმლებით და ზარბაზნებით გამოდიან სოციალიზმის წინააღმდეგ და სულით და გულით იცავენ ერის ძლიერებას და ინდივიდუალობას: განა გერმანელმა მეცნიერება ფილოსოფოსებმა არ დააყენეს გერმანეთი ომის სერზე? განა **ვუნდმა ოსტვალდმა, ვინდელბანდმა** და სხვებმა არ მოაწერეს ხელი ომის დაწყების აუცილებლობას და გერმანეთის მსოფლიო ბატონობის წინასთარ მეტყველებას?—სად გაჰქრა სოციალიზმი. როგორ მოხდა, რომ ეროვნულმა ინდივიდუალობამ სძლია სოციალიზმის გატეგორიებს და განყენებულ მცნებებს?

— ჩვენში ხომ დღესაც ოცნებობენ და სოციალისტობენ: ჩვენში ხომ სოციალისტობა განათლების და ნიჭის ცენზად ითვლება; ვისაც სახელმწიფო საქმეების სათავეში უნდა ყოფნა და მინისტრის სავარძელი, უნდა იყოს უსათუოდ სოციალისტი: განათლება, ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, ყველაფერი ეს საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ სოციალისტობა: აი საიდამდე მიგვიყვანა ბრმა წამბაძველობამ, სხვის აზრით გლახად გაგებამ, ევროპის სოციოლოგიური და ფილოსოფიური კატეგორიების მთქნარებით ყლაპვამ და დილეტანტობამ; აი სანამდე **მიგვიყვანა ეროვნულ სამშობლოს სულის და შემოქმედების დამახინჯებამ და დაცემამ**.

ჩვენი სახელოვანი წინაპრების აჩრდილები ჩვენი სამშობლოს დიდების ნანგრევებში ტირიან. საქართველოს განახლებას ელიან; ჩვენ კი სოციალიზმის თეორიებს და პრინციპებს ვარჩევთ იმ დროს, როდესაც ჩვენი სოციალისტობით ვღუპავთ სამშობლოს და ვამხეცებთ ერის სულს, ერის ნიჭს, განცდას და შემოქმედებას.

ასე იყო მაშინ, როდესაც ოსმალები პირველად შემოვიდენ კონსტანტინოპოლში; ბერები და მწვალებლის წარმომადგენლები გაცხარებულად მსჯელობდენ: მამა ღმერთი უფრო ძლიერია თუ სული წმინდაო. კონსტანტინოპოლს ცეცხლი ეკიდებოდა, თათრები ანგრევდენ და სისხლში ბანაობდენ.

ულმობელია ისტორია, საშინელია ბედის დოსტაქრობა. ერი დაიღუპება, თუ იგი საზღვარ-გარეთიდგან ჩამოტანილ პროგრამებს და სხვა ერთა ცხოვრებისთვის შექმნილ დოღმებს; ერი დაიღუპება თუ ერის სული დამახინჯდა: სოციალიზმი განყენებული მცნებაა, უშინაარსო კათეგორიაა; ერის სულის ისტორიულ ძიების, ტანჯვის და საუკუნეთა განცდის ნაყოფია. სოციალიზმის ქადაგება „საქართველოში“ საქართველოს უარყოფაა და ქართული სულის დამანხინჯებაა.

კ. **კაპანელი—ჰანტურაია.**

## პატარა ფელეტონი.

### ჩემი დეკრეტი.

ჩემს მეტმა, დღემდის, ყველამ მოასწრო, მეტის თუ არა, თითო დეკრეტის გამოცემა მაინც.

მეც მინდა მოვასწრო.

ჯერ კიდევ თავისუფლებაა!..

მაგრამ როგორც სჩანს ეს თავისუფლება დემოკრატიას ხელიდან ეცლება და ქრება ისე, როგორც ჭლექიანი ქალი ახალმოდის მგოსანთა რითმებში.

თავისუფლებას იმოდენი მტრები ჰყავს იმოდენი, იმოდენი, რომ მათი რიცხვი ჯერ ვერავინ დასთვალა.

ესდეკებს სტატისტიკური სააგენტოც კი აქვთ დაარსებული, მაგრამ ჯერ ვერას გახდენ.

ფიქრობენ გოჰოურიდან ვარსკვლავთ მრიცხველები გამოიწერონ, რაც „პატარა“ სერგოს დაევალა.

ქუთაისში თავისუფლების პირველი მტერი ესდეკი-მხედარი აღმოჩნდა.

საიდუმლო წყაროებიდან სჩანს, რომ იგი წარბ შეუხრელად, როგორც გმირ ჭაბუკს შეშვენის საჯაროთ გამოსულა და დაურიდებლად —კატეგორიულად მოუთხოვია, რომ მუშათა საბჭო, რომელიც წყაროა სიმართლისა და სათნოებისა, ძმობა-ერთობისა და სიყვარულისა დაიშალოს და მისი წევრები სოროებში მიიმალონ.

შამბარი პოლიციის წევრმა, რომელიც ჩემი სიყრმის მეგობარია საიდუმლოდ გადმომცა, რომ ეს მხედარი უკვე დაუპატიმრებიათ და მისი საქმის გამოძიება და გარჩევა ესდეკებს პარტიული ამხანაგის ვიქტორისათვის მიუნდვიათ.

როგორც სჩანს საქმე ჯერ არც ისე ცუდად არის. ვიქტორისა და პატარა სერგოს იმედით მეც შემიძლია გამოვაქვეყნო ჩემი დეკრეტი.

ჩემი დეკრეტი შეეხება ქუთაისელ ქა-

ლებს. გათვალისწინებული მაქვს მათი მკაცრი ბედი და ვეცდები, რომ მათი შავბნელი დღეები, ოდნავ მაინც ავაცისკროვნო.

აი დეკრეტიც:—

მე მყრობელი ყოვლისა არარაობისა, მბრძანებელი ჩემის თავისა, პატრონი ერთის კალმისტარისა და ნაფლეთი ქაღალდისა, თავისუფალი მოქალაქე ოკრიბის დამოუკიდებელი დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკისა და სხვათა, სხვათა ხხვათა, სხვათა და სხვათა...

ვბრძანებ:—

1

ქუთათურ ყველა ქალებს; განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, წოდებისა, მიმართულებისა, ხნოვანებისა და სილამაზისა—მიენიჭოსთ სრული თავისუფლება, ამ უკანასკნელი სიტყვის მთელი თავის მნიშვნელობით.

2

ეროვნულ საბჭოებს, სარწმუნოების კომისრებს, წოდებათა სამართველოებს, პარტიების კომიტეტებს, ბუნების კანონს და სილამაზის ღმერთს დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა უფლება არა აქვთ მოსთხოვონ პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ქალებს თავიანთი მოქმედების ანგარიში.

3

სპეკულიაციასთან ბრძოლა რომ გაღრმავდეს, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ქალებს ვაძლევ სრულ უფლებას მოაწყონ მიტინგი ქალაქის სამკითხველოში, საიდანაც გაეშურებიან ქებაბის ,,მაღაზიაში''. იქიდან მათ შეუძლიათ გაიტაცონ ფერ.ი, უმარილი, პუდრი და სახის გასანაზები ათასგვარი კრემი.

4

ვაუქმებ სეიმის მიერ გამოცემულ დეკრეტს, ენის ნაციონალიზაციის შესახებ. ყველას სრული უფლება აქვს ილაპარაკოს ,,რუსული ენით'' და ამას სავალდებულოდაც ვხდი, რაც სასტიკათ უნდა დაცულ იქმნას.

5

მყარდება სიყვარულის სრული სოციალიზაცია, დაღამების შემდეგ არც ერთი ახალგაზდა ქალიშვილი სახლში არ უნდა რჩებოდეს.

6

ვბრძანებ, ქალაქის ბაღი გაწმენდილი იქმნეს ელექტრონებიდან, რაც თავისუფლებას ელობება და ხელს უშლის.

7

ყველა ზემო ჩამოთვლილ პუნქტების სისრულეში მოსაყვანათ და თვალ ყურის სადევნებლად, ჩემს თანაშემწედ ვნიშნავ ყველასათვის ცნობილს სიპლოს.

8

ჩემის დეკრეტის პუნქტების დამრღვევი უსათუოდ ჩამოხრჩობილ იქმნება ცხოვრების პირველ ხეზე.

დედანზე საკუთარი ხელით აწერია:

**ისკანდერ ბეგ.**

დედანთან სწორია. ვამოწმებ:

**წიპლო.**

## დონის ოლქში·

გაზ. „ბორბა“ შემდეგნაირად აგვიწერს დონის ოლქის მდგომარეობას:

„დონის ხსნის ჯგუფმა“ გენ. კრასნოვი აირჩია სამხედრო ატამანად და მიანდო ბოლშევიზმის ლიკვიდაცია. გენ. კრასნოვი ცნობილია კორნილოვთან ერთად პეტროგრადზე გალაშქრების შემდეგ. გატჩინზე დამარცხების შემდეგ გენ. კრასნოვი დაბრუნდა დონში სადაც ამას წინად არჩეულ იქმნა ატამანად. ხალხმა მას მიანდო დიქტატორული უფლება. კრასნოვმა ჯერ-ჯერობით გამოცა შემდეგი ხასიათის ბრძანება: ახალი მთავრობის მორიგი საქმეა ბოლშევიზმის აღმოფხვრა დონიდან. უნდა აღდგენილ იქნას რუსეთის იმპერიის კანონები და სასამართლოები, თავისი სასოფლო და საქალაქო მილიციებით. სწავლაგანათლების საქმეც ძველ პირობებში უნდა იქნას წარმოებული. მიწაზე კერძო საკუთრების უფლება დაუყონებლივ ძალაში უნდა შევიდეს. უნდა დაითესოს მინდვრები. მსხვილ მემამულეთა მიწას გადაამუშავებს ტყვე ბოლშევიკი გვარდიელები. ეს ჭირნახული გადაეცემა ხაზინას. არჩეული იქნება კომისია დასამუშავებელი მიწის ნორმის გამოსარკვევად.

დონის ახალი მთავრობის დამოკიდებულება გერმანელებთან დახასიათებულია შემდეგი სიტყვებით: „დონის ტერიტორიაზე მყოფი გერმანეთის მხედრობა უნდა მიღებულ იქნას, ისე როგორც საკუთარი მთავრობის მხედრობა და არავითარ კონფლიქტა ჩვენს შორის აღავი არ უნდა ექნეს, რადგან რუსეთი დაამარცხა არა გერმანელებმა, არამედ ჩვენმა გაუნათლებლობამ, ჩვენმა სიბნელემ და ჩვენმა ავადმყოფობამ, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა. ნოვოჩერკასკისა და ნახიჩევანის ქალაქის თვითმართველობა პროტესტით გამოვიდა ატამანის წინააღმდეგ. გენ. კრასნოვმა გარეკა ორივე ქალაქის თვითმართველობა, დანიშნა ახალი არჩევნები, ახალი საარჩევნო კანონით. ამ საარჩევნო კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია 25 წლიანებიდან და იმათ ვინც ორი წელიწადი მაინც სცხოვრობდა ქალაქში.

გენ. კრასნოვს ემორჩილება როსტოვიც. გერმანეთისა და გენ. კრასნოვს შუა არის ხელშეკრულებაც, რომელსაც ორივე მხარე დიდი საიდუმლოებით ინახავს. კრასნოვს სურს მტკიცე კავშირი დაიკავოს სკოროპადსკის მთავრობასთან უკრაინაში.

## ქალაქის თვითმართველობის გარშემო·

ქალაქის თვითმართველობის განახლება და ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან მისი განთავისუფლება ქალაქის მოსამსახურეებმაც იდღესასწაულეს. სხვებზე არა ნაკლები აღტაცებით შეხვდენ მოსამსახურენი თვით მართველობის დემოკრატიულ დაწესებულებათ გარდაქმნას. შეხვდენ აღტაცებით იმიტომ, რომ ისინი მისგან მეტ სამართლიანობას ელოდენ. იმედობდენ, რომ მაღალი იდეალებით გამსჭვალულ დაწესებულებაში მოელებოდა ბოლო მათ ეკონომიურ ჩაგვრას, დაუფასდებოდათ შრომა და ყოველი მხრივ გაუმჯობესდებოდა მათი მდგომარეობა. სამწუხაროთ ეს იმედები ჯერჯერობით სავსებით არ გამართლდა. მოსამსახურეებმა არა თუ ახალი რამ შეიძინეს განახლებულ დაწესებულებაში, არამედ ზოგი ისიც დაკარგეს, რასაც ისინი რუსის გუბერნატორის „ოპეკის“ ქვეშ მყოფი თვით მართველობისაგან ღებულობდენ.

როგორც ყველა სხვა ქალაქი, ისე ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაც აძლევდა უწინ თავის მოსამსახურეთ სამსახურიდან წასვლის დროს ერთდროულ ჯილდოთ იმოდენი თვის ჯამაგირს, რამოდენი წლის ნამსახურიც ესა თუ ის მოსამსახურე იყო.

ეძლეოდათ ეს ჯილდო სამსახურიდან თავის ნებით წასულთ და ასეთივე ნორმა და წესი იყო შტატების შემცირების გამო უადგილოთ დარჩენილთათვისაც. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაასაჩუქრა გამგეობამ ზემო აღნიშნული წესით შემდეგი მოსამსახურენი: დ. კლდიაშვილი, ვ. ასათიანი, ეკატერინე მიბელლის ქალი, მგალობლიშვილის ქალი, ტელეფონისტკა ასათიანის ასული და მრავალი სხვა...

ახალმა, დემოკრატიულმა თვითმართველობამ კი უარი უყო ასეთ ჯილდოზე სამსახურიდან თავის სურვილით წასულ მოსამსახურეთ. მან ანტიდემოკრატიულათ გამოაცხადა სამსახურიდან თავის ნებით წასულ პატიოსანი მუშაკისათვის ნამსახურის მიცემა. ერთი ასეთი განაჩენი თავის 11 ივნისის სხდომაზედაც გამოიტანა ქალაქის საბჭომ გამგეობის ყოფილი გადამწერის პლატონ ოყრეშიძის შესახებ, რომელმაც სამი წელი გაატარა ქალაქის სამსახურში და ზედმიწევნით პატიოსნათ ასრულებდა თავის მოვალეობას. სამი წლის სამსახურისთვის ძველი წესით ერგებოდა მას სამი თვის ჯამაგირი, რაზედაც საბჭომ უარი უყო იმ მოსაზრებით, რომ ოყრეშიძე სხვა დაწესებულებაში უკეთეს ადგილზე გადავიდა და შეუძლია უმისოდაც იარსებოსო. ნუ თუ ეს მოტივი მისაღებია! ქალაქს შეძლებული მოსამსახურენიც ჰყ ვს და ასეთი ლოღიკის მიხედვით მათ ჯამაგირებიც უნდა მოუსპონ და უსასყიდლოთ ამუშაონ! ყველა, უზრუნველყოფილია ის თუ არა, უნდა ღებულობდეს თავის შრომის ფასს და სამსახურიდან წასვლის დროს, თუ გინდ თავის სურვილით დატოვოს ადგილი, მიეცეს უნდა თავის ნამსახური.

განახლებული თვითმართველობანი ბაქოსი, თბილისისა და სხვები აძლევენ ასეთ შემთხვევაში მოსამსახურეთ ყოველი წლის სამსახურისათვის ორორი თვის ჯამაგირს. ქუთაისისამ კი არა თუ გაადიდა ძველი თვითმართველობისაგან მიღებული ნორმა, არამედ მთლად მოსპო ის და დამსახურებული მოსამსახურენი პირში ჩალა გამოვლებული გაუშვა. უარი უთხრენ ოყრეშიძეს, რომელმაც ფოჩტაში სამსახურის დროს ეწამა სულთამხუთავი ბიუროკრატიული მთავრობისაგან 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის. დაუკარგა მას თვითმართველობამ სამი წლის ნამსახური მისთვის, რომ განახლებულმა და გათავისუფლებულმა ფოჩტამ დაუფასა ამაგი მის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ზარალებულ ოყრეშიძეს და მიიწვია ხელ ახლა თავის სამსახურში შედარებით მეტ ჯამაგირზე. ოყრეშიძე, როგორც ცოლშვილით დატვირთული და მასთან ძალიან ღარიბი კაცი იძულებული გახთა დაეტოვებია ქალაქის სამსახური მისთვის, რომ იქ მას შიმშილი მოელოდა.

შედარებით სხვა დაწესებულებებთან, ქალაქის მოსამსახურენი დიდ გაჭირვებას განიცდიან მატერიალურათ და რომელიმე მათგანმა რომ მოახერხოს ამ ნივთიერი სივიწროვისაგან თავის დაღწევა და სხვა დაწესებულებაში მეტ შემოსავლიანი ადგილი იშოვოს ქალაქის თვითმართველობამ მას ნამსახური უნდა დაუკარგოს!...

ჩვენი ქალაქის მესვეურები ძალიან კარგს იზამენ თუ მეტ ანგარიშს გაუწევენ და მეტათ დააფასებენ თავის თანამსახურთა შრომას, ვინაიდგან მოსამსახურენი არიან ქალაქის სამეურნო მანქანის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, რომლის უმისოთ თვითმართველობის ყოველივე მოქმედება უშედეგო და უნაყოფო დარჩება ქალაქის მეურნეობის მოწესრიგებისა და განვითარების საქმეში.

**„გურეშები“**

## ანტონ ქუთათელის მოგზაურობა ეპარქიაში.

ქართველი ერი თავიდგანვე მორწმუნე იყო, არის და იქნება. ათასმა უბედურებამ გადაიარა ამ ერის თავზე, ხანგრძლივ მონობაშიდაც ბევრჯერ ყოფილა სამუსულმანო ქვეყნების დესპოტ მართველებისაგან, მხგრამ სარწმუნოება ქართველ ერს მაინც არ შერყევია. დღესაც დიდ უბედურებას განიცდის ეს ერი, აქეთ იქით ეხლება ზღვის ტალღებივით ეძებს გამოსავალ გზას, მაგრამ სარწმუნოებაზე მაინც მტკიცეთ სდგას. ამის ნიშნებს ნათლად ვხედავთ მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის მოგზაურობიდან იმერეთის ეპარქიაში.

სრული თექვსმეტი წელიწადი გადის რაც იმერეთის ეპარქიის მივარდნილ კუთხეებს თავის მწყემსთავარი არ უცნახავს და მისგან სწავლა მოძღვრება არ მოუსმენია. მიტროპოლიტმა ანტონ ქუთათელმა იმერეთის ეპარქიაში მოსვლის თანავე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ დიდ ნაკლს და გადასწყვიტა მოხერხებულ დროს თავის სამწყსოს სულიერ მდგომარეობას პირადად გაცნობოდა. ეს გადაწყვეტილება მათმა მეუფეებამ სისრულეში მოიყვანა და ამა წლის მაისის ბოლო რიცხვებში თავის მცირე კრებულით ჩხარის რაიონის დასათვალიერებლად წავიდა.

პირველად მღვდელმთავარი სოფელს გოგნს ესტუმრა. ეს სოფელი ოკრიბისა და არგვეთის სამძღვარზეა გაშენებულის უპირავს მთის მაღლობ მიდამოები და მარტოდ მარტო გამოიყურება ობლად. ექვს ვერსის სიახლოვეს ამ სოფელს არც ერთი [illegible] სოფელი არ ახლავს და ხშირად ჭირსაც და ლხინსაც მარტო უმკლავდებოდა ხოლმე ძველად ჩვენ ქვეყანაში მტრების შემოსევის დროს. მღვდელმთავრის ამ სოფელში მიბრძანებამ დიდი და პატარა ფეხზე დააყენა და ძალზე დიდი ტაძარი მთლად გაივსო ხალხით მღვდელმთავრის დანახვისთანავე ერთხმად იგრიალა ხალხის ხმამ ,,კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა''. მწყემსთავარმა გულმოდგინედ დამოძღვრა სასოებით ეკლესიაში თავმოყრილი ხალხი, დალოცა და საღამოს ჟამს დაბა ჩხარისაკენ წავიდა.

ჩხარი, ერთი უძველესი და შესანიშნავი დაბაა მთელს იმერეთში. ძველად არგვეთის მთავართა სატახტო ქალაქი ყოფილა იგი. ჩხარის წმიდა ეკლესია თავის ძვირფასი განძეულობით, გაენათოს მონასტრის შემდეგ, მთელ იმერეთის ეპარქიაში სახელ განთქმულია. ამ ეკლესიის სახარება, გულვანი და სხვა სიძველენი ჩვენი ერისათვის ისტორიისა და არხეოლოგიის მხრით მილიონები ღირს.

მღვდელ მთავარმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ყველა ამ ნივთებს, მიულოცა ხალხს, რომ ასეთი ძვირფასი ნივთების პატრონი არიან, ურჩია მათი დაცვა, შენახვა და ამ ნივთების შესაფერისი ყუთის სასყიდლად თავის წვლილის გამოღებას დაპირდა. ჩხარში მღვდელ მთავარს აქაურმა სომხებმაც დიდი პატივისცემა აღმოუჩინეს. ერთმა რუსმა მოხელემ მშვენიერი სიტყვა უთხრა. დაბა ჩხარიდან მღვდელ მთავარი სხვა სოფლების დათვალიერებას შეუდგა. მან ინახულეს: თხილთა წყარო, მაჩიტოური, ალისუბანი, რუფოთი, ტელეფა, საზანო, ვარდიგორა, და სკანდე.

ყველგან მათ მეუფებას აუარებელი ხალხი ხვდებოდა, აღტაცებით ეგებებოდენ და ისმენდნენ მის სიტყვას. სკანდის ეკლესიაზე ერთმა მრევლთაგანმა კოტე ჩიგვალაძემ მდაბიო ენით გრძნობით აღსავსე სიტყვა უთხრა. მღვდელ-მთავარმა მადლობა უძღვნა და ლოცვა-კურთხევა გადასცა. არგვეთის ეკლესიების დათვალიერების შემდეგ მიტროპოლიტი მთაგორიანი მუხურისაკენ გაეშურა. ყველა აქაური ეკლესიებიც ინახულა, ხალხი დამოძღვრა და შემდეგ საეპარქიო საქმეების დასახედავათ ქ. ზესტაფონიდან ქუთაისისაკენ გამოეშურა.

**დამსწრე.**

## კორესპონდენცია.

**ქ. ახალ სენაკი.** 12 და 13 ივნისს ძმ. სანიკიძეების სათეატრო დარბაზში დადგმულ იქმნა ოპერა „არშინ მალ-ალან“ მონაწილეობას ღებულობდენ თბილისიდან ჩამოსული მსახიობები. ოპერეტკას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ადგილების ფასი 5—15 მან. იყო. ბილეთების ასეთი სიძვირის, მიუხედავად ბილეთები ყველა გაიყიდა. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა. პირველ და მეორე შემთხვევაშიც ხალხი დაიშალა ღამის პირველ საათზე.

— ამ ბოლო ჟამს სიმინდის ფქვილის ფასმა ზღაპრულ სიძვირემდი აიწია. სიმინდი ამ ხანად 50 55 მან. ფასებს ფქვილის გამყიდველს ფასი რომ ჰკითხოთ, იგი გეტყვის ყაფანზე რა მაზანდაც იქნება ისე გავყიდი. სიმინდსა და ფქვილზე არავითარი ნიხრი არ არსებობს.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია·